ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო დიდის შუქში, ამ ქარიშხლების სხივაზედა..

# ოდიში

1991
შაბათი
15
ივნისი
№71 (10464)
ფასი 5 კაპ

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

## მადლობა თანადგომისათვის

ამ სამადლობელო წერილის ავტორები მიწისძვრით დაზარალებული ამბროლაურის რაიონის მცხოვრებლები ვართ, რომლებმაც ჩვენი პატარებით თავშესაფარი ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშის დედათა და ბავშვთა სანატორიუმში ვპოვეთ. თითქოს ბევრი რამ ვიცოდით ამ ლამაზი კუთხის შრომისმოყვარე და სტუმართმოყვარე ადამიანებზე, მაგრამ თვალით ნახულმა მოლოდინს გადააჭარბა.

უკვე თვეზე მეტია 29 ოჯახი ამ სახლში ვცხოვრობთ და ერთი წუთითაც არ ნელდება ყურადღება ჩვენს მიმართ. ჩვენს ყოველ დაფიქრებულ გამოხედვაზე ყველა აქ მომუშავე ადამიანს მზად აქვს შეკითხვა: „ხომ არაფერი გიჭირთ, ხომ არაფერი გინდათ?".

პატივცემულო რედაქციავ! თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ სანატორიუმის დირექტორს ბატონ ხუტა ბალათურიას, რომელიც ჩამოსვლის დღიდან მამაშვილური სიყვარულით დაგვტრიალებს თითოეულ ჩვენთაგანს. მადლობა გვინდა გადავუხადოთ სანატორიუმის ექიმს ზ. ანდრიაძეს, უფროს მედდას ზ. გრიგოლავას, მთელ კოლექტივს, რომლებმაც ჩვენი გაჭირვება გაითავისეს და ყოველნაირად ცდილობენ დარდი და ნაღველი შეგვიმსუბუქონ.

ჩვენი რაიონიდან ჩამოსული თითქმის ყველა ბავშვი სამედიცინო დახმარებას საჭიროებდა, მაგრამ 12 წლის ნიკა ჩალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. ბავშვი რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მთელი განყოფილება ფეხზე დადგა. განყოფილების გამგე ზ. უბერი, ექიმი მ. ტორჩინავა, მედდა ლ. ქობალია, უფროსი მედდა გ. კაჭარავა ძალღონეს არ იშურებდნენ და ავადმყოფს ყველა დეფიციტური წამლით ამარაგებდნენ. დღეს ნიკა თავს კარგად გრძნობს და სიყვარულით იხსენიებს თავის მკურნალებს.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ ყველას, ვინც გაგვიწია მატერიალური დახმარება. ესენი იყვნენ: ჭკადუაშის ჩაის ფაბრიკა, ქ. ოჩამჩირის მე-6 საშუალო სკოლა, დაფნის კომბინატი, ღვინის კომბინატი, ჩაის კომბინატი, საკონსერვო ქარხანა, ქალაქის ქალთა საბჭო, ზუგდიდის სააფთიაქო სამმართველო, ქ. ზუგდიდის სვანეთის და საბჭოს ქუჩის კომიტეტები, რიყის კოლმეურნეობა, დარჩელის მეურნეობა, 25-ე საბავშვო ბაღი, კოოპერატივი „ელექტრონი". სანატორიუმში კონცერტები გაგვიმართეს და პატარები დაასაჩუქრეს კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ქალთა გუნდმა და ზუგდიდის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა.

ძვირფასო თანამემამულენო! ულრმესი მადლობა თანადგომისათვის, სიყვარულისათვის, იმ ცრემლებისათვის, რომელიც ჩვენს გამო ბრწყინავდა თქვენს თვალებზე. გისურვებთ სიხარულს, სიკეთეს და საყვარელი სამშობლოს—საქართველოს თავისუფლებას.

მიწისძვრით დაზარალებულთა სახელით
ნანა ჯანელიძე

ინფორმაცია

## ზრდიან ჩაისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას

ინგირის კოლმეურნეობის ეკონომიკაში უდიდესი წილი უდევს ჩაის კულტურას. იგი არის სოფლის მშრომელთა შეძლებული ცხოვრებისა და სიმდიდრის წყარო. ამიტომაც არის ჩაი კოლმეურნეთა ყურადღებით და მზრუნველობით გარემოსილი. როგორც კი კრეფის სეზონი დამთავრდება, დიდი სამზადისი იწყება მომავალი წლისათვის. როგორც წინა წლებში, წელსაც ასე იყო ინგირის საზოგადოებრივ მეურნეობაში (თავმჯდომარე ბ. ქარჩავა). აქ აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარდა ჩაის პლანტაციების მოვლითი სამუშაოები: წესრიგში იქნა მოყვანილი შიდასაპლანტაციო გზები, ხიდ-ბოგირები, ფარდულები, სასწორები, შეკეთდა ჩაის საკრეფი ხომალდები და სეზონიც მაღალორგანიზებულად, ოპტიმალურ ვადებში დაიწყო. ახლა ინგირის კოლმეურნეობაში ყოველდღიურად 18-20 ჩაის საკრეფი მობილური მანქანა და 500-ზე მეტი ხელით მკრეფავი მოდის სამუშაოდ.

შედეგებმაც არ დააყოვნა. ინგირელები ყოველდღიურად 30-35 ტონა ხარისხოვან ნედლეულს აბარებენ ჩაის გადამამუშავებელ მრეწველობას.

14 ივნისისათვის მოკრეფილი და გადამუშავებელია 650 ტონა ხარისხოვანი ნედლეული.

ყველა ბრიგადა, საწარმო უბანი თუ რიგით მეჩაიე შრომობს იმ სულისკვეთებით და განწყობილებით, რომ უკლებლივ გადაიღოს საკრეფად შემოსული ფოთოლი, არ დაუშვას დანაკარგები და სამშობლოს მისცეს რაც შეიძლება მეტი და მაღალი ხარისხის ნედლეული.

ინგირელთა განკარგულებაშია ჩაის მიკროფაბრიკა, რომელიც სრული დატვირთვით მუშაობს.

კრეფა წარმატებით გრძელდება.

* * *

წარმატებით შრომობენ წელს საქვებმომპოვებლები (საქვებწარმოების ბრიგადის ხელმძღვანელი მ. ქარჩავა) და კარგ შედეგებსაც აღწევენ. აქ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის ამ წამყვან დარგს, მეცხოველეობას მთელი წლის მანძილზე უხვად ჰქონდეს იდგილობრივი წარმოების იაფი საკვები: სენაჟი, სილოსი, ჩალა და თივა. პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ამ დღეებში მაღალ ორგანიზებულად დაიწყო სენაჟის დამზადება. შემჭიდროებულ ვადებში, სამ დღეში ადრე გათვალისწინებულ 110 ტონის მაგიერ ჩადეს 200 ტონა მწვანე საკვები.

ახლა, როცა სენაჟი დაბინავებულია, არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ კომბაინერი ა. ჯგერენაია, რომელმაც თავისი გამოცდილება და მონდომება მოახმარა მეცხოველეთა ხისატრებლო საქმეს.

საქვებმომპოვებლები პირობას იძლევიან შექმნან საკვების ისეთი მარაგი, რომ ძგი მთელი წლის მანძილზე ულევად ჰქონდეს კოლმეურნეობის განკარგულებაში არსებულ პირუტყვს. ეს კი იმის გარანტიაა, რომ ინგირელები შარშანდელთან შედარებით გაზრდიან რძისა და ხორცის წარმოებას, შესამჩნევად შეამცირებენ მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულებას.

ნ. ხუხუა,

წერილები ზედაეწერიდან

## კვლავაც მხარში ამოვუდგებით

ზედაეწერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგმასწავლებლებსა და მოსწავლეებს ყოველთვის გულთან ახლოს მიგვაქვს საქართველოს ნებისმიერი გასაჭირი, ტკივილი.

ტექნიკუმის სახელით სამაჩაბლოდან ლტოლვილ ქართველებს დასახმარებლად 20000 მანეთი გადავურიცხეთ. შეგვძრა მიწისძვრის შედეგად დასავლეთ რაიონებში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამაც. ჩვენი კოლექტივის წარმომადგენლები უმალ გამოცხადდნენ პრეფექტურაში და სურვილი გამოთქვეს ტექნიკუმის საერთო საცხოვრებელში მიგვეღო დაზარალებული რაიონიდან რამდენიმე ოჯახი. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. მაშინ გადავწყვიტეთ, 4000 მანეთი გადავურიცხა სპეციალურად მათთვის შექმნილ ფონდში.

დაგეგმილი გვაქვს მომავალ სასწავლო წელს, შევხვდეთ ჭკადუაშის დედათა და ბავშვთა სანატორიუმში დაბინავებულ დაზარალებულ ოჯახებს და ყოველგვარი დახმარება გავუწიოთ მათ.

## უხვ მოსავალს მივიღებთ

აბრეშუმის ნაწარმი ერთერთი ძირითადი სახეობაა, რომელიც ოდითგანვე საქართველოს მშრომელებს ჰქონდათ საერთო ბაზარზე. 1964 წლიდან კი საკვები ბაზის განადგურებასთან დაკავშირებით (მასიურად გახმა თუთის ნარგავები) საგრძნობლად შემცირდა მისი წარმოება. არადა დღითი დღე იზრდება მოთხოვნა აბრეშუმის ნაწარმზე. დიდია აბრეშუმის ძაფის საჭიროება მედიცინაში და საავიაციო წარმოების განვითარებაში. საქმე იმაშია, რომ ხელოვნურმა აბრეშუმმა ვერ შეცვალა ნამდვილი აბრეშუმის დანიშნულება.

დამოუკიდებელ საქართველოს ეკონომიკისათვის აუცილებელია ისეთი სახის პროდუქციის წარმოება, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება მსოფლიო ბაზარზე. ასეთი კი გახლავთ ნატურალური აბრეშუმი.

საკვების მხრივ შექმნილი სიძნელეების მიუხედავად ჩვენი ტექნიკუმის (დირექტორი, ო. ქანთარია) პედაგოგებმა ა. როდონაიამ, ვ. ბიგვავამ, ნ. აფხაზავამ, ვ. გვარამიამ, მ. გვილავამ, ო. არდიამ და მოსწავლეებმა მოსავლელად გაიპიროვნეს 210 გრამი აბრეშუმის ჭია. შექმნილია ყველა პირობა რომ გაპიროვნებული მუხლიდან მიიღონ მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი.

აბრეშუმი ბოლო სტადიაშია. ვფიქრობთ, ჩვენი შრომა უნაყოფო არ იქნება. ტექნიკუმის მოსწავლეები და პედაგოგები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მიიღონ პარკის მაღალი მოსავალი.

ლ. ჭითანავა,

## ერთსულოვნება გამოავლინა

ყოველი ქართველისათვის ხანძვარ დღეს—26 მაისს მიუძღვნეს თავიანთი შთამბეჭდავი საღამო ახალსოფლელებმა, რომელიც კულტურის სახლის დირექტორის როზა როგავას ინიციატივით მოეწყო.

დიდი სიამოვნება მოჰგვარა დამსწრეებს სოფლის მომღერალთა გუნდმა, გულწრფელი ტაშით დაიმსახურა სტიქიური უბედურების გამო აჭარიდან ჩამოსახლებულმა, ამჟამად ჩვენი სოფლის მკვიდრმა პატარა ვარდენ ვაშაყმაძემ, რომელმაც შეასრულა ქართული სიმღერები. შთამბეჭდავი იყო საბავშვო ბაღის ცეროდენების, თბილისელი სტუმრის ინგა გოგიას ნორჩი დეკლამატორების თათია ჯოჯუას, სოფიკო ღურწკაიას, სოფიკო გაბუნიას და სხვათა გამოსვლები.

26 მაისი ხომ ჩვენი ეროვნული გმირის, საქართველოსთვის წამებული რაინდის მერაბ კოსტავას დაბადების დღეცაა. საღამოზე კიდევ ერთხელ წარმოჩნდა ამ უკვდავი მამულიშვილის სახე. საღამომ ერთხელ კიდევ წარმოაჩინა ქართველი ხალხის მებრძოლი სული, მისი დაუშრეტელი ენერგია და სწრაფვა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

ჯ. კუკავა.

საპარლამენტო ბიბლიოთეკა

ბუნება და ადამიანი

# შევუნარჩუნოთ ადრინდელი სიწმინდე

მრავალჯერ იყო მსჯელობის საგანი ჩვენი [illegible] ქალაქისა და რაიონის ეკოლოგიური პირობები, კერძოდ წყალსატევების დაცვის მდგომარეობა. მაინც ვერ შეიგნო ზოგიერთმა მოქალაქემ და საწარმოთა ხელმძღვანელმა, რომ წყლის ყაირათიანი მოხმარება და მისი დაბინძურებისაგან დაცვა საშვილიშვილო საქმეა, ხელმყოფნი კი კანონით ისჯებიან. „შავ დღეში" არიან ზუგდიდის ტერიტორიაზე გამავალი მდინარეები: ჩხოუში, კუხხობონუ, სინწა და მელეთი. წყალსატევების დაბინძურებაში მხილებული პირები, საწარმოთა ხელმძღვანელები არაერთგზის გაიკიცხა ადგილობრივი პრესის ფურცლებზეც, მაგრამ ამას, სამწუხაროდ, რაიმე დადებითი ძვრები არ მოჰყოლია.

ბუნების დაცვა მხოლოდ ერთი სამსახურის საქმე როდია. როგორ უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ მოსახლეობის საოჯახო ნაწმარი წყლები და სხვა დაბინძურებული წყაროები პირდაპირ ჩართულია მდინარეებში და ამას დამშვიდებულად შევყურებთ?! აინუნშიაც არ აგდებენ ამ გარემოებას ქუჩათა კომიტეტების თავმჯდომარეებიც.

წყალსატევების დაცვის თაობაზე რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების შესრულება საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსაც ეხებათ.

წლების განმავლობაში უმოქმედოა რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა ნახმარი წყლების ბიოლოგიური და მექანიკური გამწმენდი ნაგებობები. საზოგადოებრივ მეურნეობებში არ არის ტიპიური ნაკელსაცავები და საწუნწუხეები. ნედლი ნაკელი გააქვთ მინდვრად, რაც არამართლზომიერია, ბინძურდება გრუნტის წყლები და ა. შ.

არ ფუნქციონირებს ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა და ჩაის ფაბრიკების ნავთობპროდუქტდამჭერი მექანიკური დანადგარ-მოწყობილობები. ქალაქის მსხვილ საწარმოებში სრულიად იგნორირებულია ბრუნვითი წყალმოხმარების სისტემის დანერგვა, ამით ახალი წყლის გამოყენების შემცირება და მდინარეების დაბინძურების აცილება.

ბუნების დაცვის სამსახურის მიერ მრავალჯერაა გამოვლენილი საწარმოები და კერძო პირები, რომლებიც არ იცავენ წყლის მოხმარების ლიმიტს. უყაირათოდ იხარჯება სასმელი წყალი ავტომანქანების რეცხვის დროს. მრავალ საწარმოს არ გააჩნია საკუთარი ავტოსამრეცხაო, რის შედეგადაც ხშირია მდინარეებში ავტოტრანსპორტის რეცხვის ფაქტები.

ბუნების მიმართ არამეგობრული მიდგომა საკვალალო შედეგს იძლევა. ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა აშკარა საშიშროებას უქადის კაცობრიობას, ჩვენს ხვალინდელ დღეს. ეს ყველამ უნდა შევიგნოთ. გადავაქციოთ ჩვენი ქალაქი და რაიონი ეკოლოგიურად სუფთა რეგიონად, მოვუაროთ გარემოს, მდინარეებს შევუნარჩუნოთ ადრინდელი სიწმინდე.

თ. თოდუა,
ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტის წყლის დაცვის წამყვანი ინჟინერი.

# ეკლესია შველას ითხოვს

გაუქმებული ეკლესია-ტაძრების აღდგენა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობა გახდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვხვდებით გულგრილობის ისეთ ფაქტებს, რაც ღვთაანდელობას არ ეკადრება.

სოფელ ტყაიის ეკლესიის აღდგენის საჭიროებაზე გაზეთ „ოდიშში" დაიბეჭდა, მაგრამ წერილს არავინ გამოხმაურებია, გვეგონა კი, რომ ძეგლთა დაცვის განყოფილების მესვეურები მაინც გამოეხმაურებოდნენ.

არადა, ამ ეკლესიის აღდგენა მართლაც რომ საშური საქმეა. წლების მანძილზე ემსახურებოდა იგი არა მარტო ტყაიის, არამედ ჩხორიის მოსახლეობასაც. შენობას სახურავი ჩანგრეული აქვს და აწვიმს. როცა ვარგისი იყო, სოფლის თავკაცები მას სხვადასხვა დანიშნულებისამებრ იყენებდნენ, ამჟამად კი ჩანს, გული არავის შესტკივა.

დროა განიდევნოს ეშმაკნი წმინდა ადგილიდან და ამ ღვთის ტაძარს სიკეთე და პატრონები დაეპატრონოს, აღდგეს ეკლესია და ღვთისმსახურება უფლის ტაძარში.

გ. ალშიბაია,
შრომის ვეტერანი.

ეკოლოგია

# „ტყე შეუნახე შვილებსა..."

ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება ერთერთი პირველი და მე ვიტყოდი, უპირველესი ფაქტორია ჩვენი შემდგომი სტაბილიზაციისათვის. ბუნებას თუ არ მოვუარეთ, თუ სუფთა ჰაერი არ გვექნა, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდება (და ეს ახლაც ასეა).

თავი და თავი ყოველივე სიკეთისა და სიკარგისა მოვლილი ბუნება ყოფილა: მაშ, მოვუაროთ მას!

ჩემი სიტყვები ისევ აქვიატენულ ლოზუნგად რომ არ იქცეს, ამისთვის დავსძენდი, მიმოვიხედოთ, ძვირფასო თანაქალაქელებო, ირგვლივ, რას გავს მდინარე ჩხოუშის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროები (აღარაფერს ვამბობ ბაზრისა თუ სხვა თავშეყრის ადგილის შესახებ). იქნებ ახლა მაინც დადგა ჟამი, ჩამოვკრათ ზარები. თითოეულმა მოქალაქემ უნდა იფიქროს ამის შესახებ. იქნებ კომისიაც გამოიყოს ზუგდიდის მწვანე ეკოლოგიური პრობლემების შესასწავლად და მათი აღმოფხვრისათვის...

ხმა ავიმაღლოთ, დავუდგეთ ერთმანეთს მხარში და არ დავივიწყოთ დიდებული სიტყვები: „ტყე შეუნახე შვილებსა"...

ხათუნა შელანია,

# ერთობლივი ძალისხმევით

საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები—ქუჩის კომიტეტები ქალაქ ზუგდიდში ფუნქციონირებს 1961 წლიდან. პირველი მისი წამომწყები საქართველოში გახლდათ ქალაქ თბილისის ყოფილი ლენინის (ამჟამად ჩუღურეთის) რაიონის აღმასკომი.

თავდაპირველად ჩვენს ქალაქში ჩამოყალიბდა 25 ქუჩის კომიტეტი. შემდგომ თანდათანობით გაიზარდა მისი რაოდენობა და დღეისათვის შეადგენს 57-ს, 550 წევრით. მათი ძირითადი ამოცანაა ადგილობრივ მმართველობას განკუთვნილი სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხთა გადაწყვეტაში მოქალაქეთა ფართოდ ჩაბმა.

დებულების შესაბამისად კომიტეტები ირჩევა მოსახლეობის საერთო კრებებზე 5-15 კაცის შემადგენლობით. კომიტეტი სხდომაზე თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს.

თავიანთ საქმიანობაში საზოგადოებრივი ქუჩის კომიტეტები ხელმძღვანელობენ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით. საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 თებერვლის კანონში ადგილობრივი მმართველობის შესახებ (მუხლი № 6) აღნიშნულია, რომ ქალაქებში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელების ორგანოებია მიკრორაიონებისა და საცხოვრებელი კომპლექსების საზოგადოებრივი საბჭოები, ქუჩისა და საბინაო კომიტეტები და მოსახლეობის თვითორგანიზაციის სხვა საზოგადოებრივი ფორმები.

საზოგადოებრივმა ამ ფორმამ თავისი დანიშნულება გაამართლა. ხალხის სამსახურშია 57 ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარის გარდა 600-ზე მეტი კომიტეტის წევრი. ისინი კავშირში იმყოფებიან ქალაქის ადგილობრივ მმართველობასთან, მის სამსახურებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან. ადგილებზე ირჩევა და წყდება ხალხისთვის საჭირო ბევრი საკითხი.

საზოგადოებრივი ქუჩის კომიტეტების სადღეისო ამოცანად მიგვაჩნია: საჯაროობა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, სამართლიანობა, ეროვნული ტრადიციებისა და წესჩვეულებების გათვალისწინება, ანგარიშვალდებულება სახელმწიფო ხელისუფლების, მმართველობის ორგანოებისა და მოსახლეობის წინაშე.

ყოველივე ამის გამო კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს ქუჩის კომიტეტებისა და ამომრჩეველთა კონტაქტი ადგილობრივი საკრებულოების დეპუტატებთან საარჩევნო ოლქების მიხედვით, რათა ერთობლივი ძალისხმევით გადაწყდეს მოსახლეობის მიერ წამოყენებული პრობლემური საკითხები ადგილებზე, რაც მუშაობას გაუმარტივებს და გაუადვილებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს.

დ. ჩიქოვანი,
პრეფექტურის უფროსი ინსტრუქტორი.

საწარმო და ადამიანები

# თუ კაცი გონიერია...

თუ კაცი გონიერია, ქვეყანა ღონიერიაო. ამ სიტყვებში მეტად მნიშვნელოვანი და ბრძნული აზრია ჩაქსოვილი. უგუნურობამ ხომ ჩვენი ქვეყანა ამოუქოლავი უფსკრულის პირამდე მიიყვანა. ფეხზე თავთავივით თავაშვერილები გავკიოდით, ჩვენი ქვეყანა ჰყვავის, იფურჩქნება, დავეწიეთ და ვუსწრებთ ამერიკის შეერთებულ შტატებსო. ვაი, რომ ეს ყველაფერი ლიტონ სიტყვებად დარჩა. შეგვრჩა ცარიელი კუჭი და ფიქრისგან ატკივებული თავი. ვეძებთ გზებს, საიდან და როგორ გამოვიდეთ ამ გამოუვალი მდგომარეობიდან. მხოლოდ გონიერება გადაგვარჩენს, მეურნე კაცის გონიერება. ხელოვნურობამ, შეთითხნილმა ციფრებმა გადაგვაგვარა. ნამდვილი საძებნი ის კაცი, რომელიც ჩვენს გაღატაკებულ ეკონომიკას წინ წასწევს, გაღატაკებულ ადამიანთა ხალხის ბედნიერად გამოდგება.

სწორედ მეურნე კაცად ვიცანით ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკის დირექტორი ნუგზარ გულუა. თავისი პიროვნული ხიბლით იგი მშრომელთა სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს. ეს იგრძნობა ფაბრიკაში შესვლისთანავე. მუშები სიყვარულით ლაპარაკობენ თავის ხელმძღვანელზე, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა მათ შრომისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობები შეექმნათ. მუშა-მოსამსახურეები უზრუნველყოფილი არიან კარაქითა და შაქრით, მრავალფეროვანია კერძები სასადილოში რომელიც ტალონებით გაიცემა.

სხვა მრავალი ჩანაფიქრი აქვს ფაბრიკის ხელმძღვანელს, რასაც გვემახორციელ, გონიერი მეურნეობრივი მუშაობით უნდა მიაღწიოს.

ინეზა ჯიქია.

შტრიხები სასკოლო ცხოვრებიდან

# ჯერ მწარე ჭამე...

...სისუფთავე, ყვავილები, წლის სხვა დროსთან შედარებით უჩვეულო სიწყნარე, ლამაზად გაფორმებული პლაკატები: „გამოცდები, გამოცდები"... ყველაფერი ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ სკოლაში გამოცდები მიმდინარეობს. რა მიიღე? რა თემა დაწერე? გაგიჭირდა? ისმის სხვადასხვა შეკითხვები.

გიძნელდებათ გამოცდები? შევეკითხე ერთერთ ბიჭუნას. არა,

—იყო მორიდებული პასუხი, ბილეთს რომ ავიღებ, მერე თანდათან ვწყნარდები, გავლილი მასალაც ერთბაშად მახსენდება ხოლმე...

ქალაქის მეათე საშუალო სკოლაში (დირექტორი ედუარდ თოლორაია) სათანადო ზომებს ატარებენ იმისათვის, რომ გამოცდებმა ნორმალურად ჩაიაროს.

თვალებცქრიალა გოგო-ბიჭები ახლა იმკიან მთელი წლის სამკალს.

ჯ. ჩაქაბერია,
ჩვენი კორ.

# იუბილეს მიეძღვნა

ამ დღეებში ქალაქის №14 საშუალო სკოლაში გაიმართა აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო.

სცენის სიღრმიდან სულმნათი აკაკის შთაგონებული სახე იმზირება.

დარბაზში სასიამოვნო ჰანგები იღვრება. სრულდება აკაკის ლექსებზე დაწერილი სიმღერები.

დრამატული წრის წევრებმა განახორციელეს „პატარა კახის" ინსცენირება. ხორჩმა შემსრულებლებმა: გურანდა ლატარიამ, ირაკლი ხასიამ, პაატა ხაცავამ და სხვებმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ნუნუ კეკუტიას წრის წევრებისათვის საგანგებოდ შეურჩევია ნაწყვეტები: „ბაში—აჩუკიდან".

დიდი მგოსნის გაუხუნარ ლექსებს შთაგონებით კითხულობდნენ მოსწავლეები თამუნა აგუმავა, თეა ფაცაცია, თამუნა ჩუხუა, ირაკლი ფარცვანია და სხვები.

[illegible]

# საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი ორგანოების საკრებულოში არჩეული დეპუტატები ზუგდიდის რაიონში

(გაგრძელება)

## ჯიხაშკარი

14. კინწურაშვილი სიმონ— 1957 წ. ფიზიკოს-მათემატიკოსი, ოქტომბრის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

15. შამუგია ალიოშა — 1936 წ. აგრონომი, ოქტომბრის კოლმეურნეობის აგრონომი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

16. ქარჩავა ომეხი —1921 წ. ექიმ-თერაპევტი, ოქტომბრის თერაპიული უბნის ექიმი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

17. ფეტელავა გედევანი— 1938 წ. ტექნიკ-ტექნოლოგი, ოქტომბრის სასოფლო საბჭოს სამხედრო მაგიდის უფროსი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

18. ჯიქია ნუგზარი —1951 წ. აგრონომი, ოქტომბრის კოლმეურნეობის აგრონომი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

19. გაბელაია კაპერდინი— 1937 წ. ეკონომისტი, ოქტომბრის კოლმეურნეობის ეკონომისტი, უპარტიო, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

20. შამუგია თემურ—1960 წ. ეკონომისტი, სარაიონთაშორისო ტყეზდაცვის ინსპექტორი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

## ორულუ

1. გვაჯაია ლერი—1940 წ. ზოოტექნიკოსი, საამქროს უფროსი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

2. პერტაია თამაზ —1950 წ. ეკონომისტი, სტატისტიკური განყოფილების უფროსის მოადგილე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

3. მამფორია გულადი — 1949 წ. აგრონომი, ორულუს კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

4. წურწუმია ბესიკ —1964 წ ინჟინერი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

5. მამფორია ზურაბ — 1951 წ. ორულუს კოლმეურნეობის მთავარი ეკონომისტი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზ. „ოდიში" №69, 70.

6. წურწუმია იურა—1931 წ. ფილოლოგი, ორულუს საშუალო სკოლის პედაგოგი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

7. მაკაცარია ბადრი—1958 წ. მუშა, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

8. წურწუმია ჟიული—1948 წ. სასოფლო საბჭოს მდივანი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

9. ჭიჭინაძე ამირანი—1955 წ. აგრონომი, საკვებწარმოების თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

10. ჯოხაძე ზურაბი —1958 წ. ეკონომისტი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

11. ცაავა როზან —1949 წ. აგრონომი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

12. ზანავა ლერი —1960 წ. მეტფერშალი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

13. ქირია მერაბი—1955 წ. ინჟინერი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

14. ქირია არეთა —1968 წ. მუშა, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

15. ქვარაია მარინა—1962 წ. ფილოლოგი, დროებით უმუშევარი, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

16. წურწუმია ადიკო—1938 წ. აგრონომი, დამამზადებელი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

17. ოთხოზორია ელდარი —1946 წ. მთავარი ინჟინერი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

18. მაჟუა ლერი—1954 წ. ისტორიკოსი, ორულუს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

## დიდინეძი

1. ესართია ალბერტ — 1968 წ. მოძრავ-მექანიზებული კოლონის მუშა, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა— თავისუფალი საქართველო".

2. კუკავა თემურ—1964 წ. ინჟინერ-მექანიკოსი, ავტოპარკის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

3. ჯღარკავა სერგო—1954 წ. ბუღალტერი ს. მ. მ. კ. 7 წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

4. ცაავა ალბერტ— 1946 წ. ბიბლიოთეკარი, დიდინეძის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

5. ქირია მალერ—1932 წ. პედაგოგი, დიდინეძის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

6. ესართია ჟორჟი —1932 წ. მუშა, საქართველოს დამოუკიდებელი კპ წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

7. ფაცაცია ციალა —1950 წ. ფილოლოგი, ზუგდიდის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა— თავისუფალი საქართველო".

8. კუტალია კობა—1965 წ. ინჟინერი, ცაიშის №8 მოძრავ-მექანიზებული კოლონის ინჟინერი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო.

9. ზარქუა მურთაზ—1949 წ. დიდინეძის საშუალო სკოლის სამნეო ნაწილის გამგე, შელხინკის კავშირის წევრი, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

10. ბებია თენგიზ— 1960 წ. ეკონომისტი, დიდინეძის მეურნეობის დამამზადებელი საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

11. დარასელია დემურ 1946 წ. დიდინეძის მეურნეობის მოანგარიშე-მოლარე, უპარტიო, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

12. ქირია ზაირა—1945 წ. ბუღალტერი დიდინეძის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი, უპარტიო, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

13. კუკავა რიზო— 1951 წ. მექანიზატორი, დიდინეძის მეურნეობის მექანიზატორი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

14. კუკავა ნუგზარ—1948 წ. ისტორიკოსი, დიდინეძის საშუალო სკოლის პედაგოგი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

15. კუკავა მერაბ— 1960 წ. ინჟინერ-მშენებელი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

16. ქირია ბოზო —1965 წ. მშენებელი, დიდინეძის მეურნეობის მუშა, უპარტიო წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

17. ქირია როლანდ—1962 წ. ინჟინერ-მშენებელი, კოოპერატორი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

18. კუკავა რუბენ—1955 წ. დიდინეძის მეურნეობის ბრიგადირი, უპარტიო, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

## ჩხორია

1. ფიფია ჟორა— 1939 წ. აგრონომი, კოოპერატორი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

2. შაბუკიანი მანანა— 1958 წ. აგრონომი, ზედაეწერის ჩაის ფაბრიკის უფროსი ლაბორანტი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

3. მიქავა ზოთა —1934 წ. აგრონომი, ჩხორიის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, დამოუკიდებელი.

4. ფიფია მამა —1940 წ. აგრონომი, აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

5. შეროზია მურმან — 1945 წ. ისტორიკოსი, ჩხორიის კულტსახლის დირექტორი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

6. ჭითანავა პალიკო—1928 წ. აგრონომი, ჩხორიის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

7. კუხალეიშვილი ბაბუჩი —1941 წ. აგრონომი, ჩხორიის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

8. ბაბუნია ზაურ—1947 წ. აგრონომი, ჩხორიის პარტბიუროს მდივანი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

9. ხუტია რაფიელ—1956 წ. ეკონომისტი, ზედაეწერის მეურნეობის ეკონომისტი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა— თავისუფალი საქართველო".

10. ბერაძე რობერტ—1964 წ. პედაგოგი, ზედაეწერის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

11. თორდია ჯემალი — 1960 წ. ეკონომისტი, ზედაეწერის მეურნეობის მთავარი ეკონომისტი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

12. თორდია სოსო — 1959 წ. ზედაეწერის მეურნეობის საწყობის გამგე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

13. ბიგვავა რევაზ—1950 წ. ეკონომისტი, ზედაეწერის ტექნიკუმის პედაგოგი, უპარტიო, დამოუკიდებელი.

14. გურჩიანი ლორიკა—1957 წ. პედაგოგი, ჩხორიის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე, სახალხო ფრონტის წევრი, წარადგინა ზუგდიდის სახალხო ფრონტის ორგანიზაციამ.

15. ცხადაია ჯემალ—1941 წ. ტექნიკ-ტექნოლოგი, ზედაეწერის ჩაის ფაბრიკის დირექტორი, უპარტიო, დამოუკიდებელი.

16. თორდია ემზარ—1961 წ. ბუღალტერი, ზედაეწერის მეურნეობის ბუღალტერი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

17. თორდია თამაზ—1958 წ. ფილოლოგი, ზედაეწერის საშუალო სკოლის დირექტორი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

18. თორდია გივი—1940 წ. ინჟინერ-მექანიზატორი, ზედაეწერის მეურნეობის ინჟინერი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

19. აბუჯავა გულიკო— 1938 წ. აგრონომი, მეურნეობის მთავარი აგრონომი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

20. ნემსაძე ემზარ —1940 წ. ზედაეწერის მეურნეობის დირექტორი, სადროშო „ლემის" წევრი, წარადგინა საქართველოს სადროშო „ლემის" ორგანიზაციამ.

21. ჩემანავა ელდარი—1949 წ. ეკონომისტი, ტყაიის ჩაის ფაბრიკის ინჟინერ-ეკონომისტი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

22. მიქავა სულხან—1963 წ. ინჟინერი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

23. ძაძუშია ედემ—1956 წ. ინჟინერი, რაიონის განათლების ინჟინერი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

გახსენება

# უსათნოესი ქართველი მეცნიერი

ზუგდიდს არაერთი ღირსეული შვილი აღუზრდია. მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ერთ-ერთი მათგანის თამარ ერასტის ასულ როდონაიას გახსენება.

დასანანი და ტკივილიანია მისი ფიზიკური არ ყოფნა.

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გულისტკივილით გაიცილეს აკადემიის მუშაკებმა.

თამარ როდონაიას ღვაწლს მიუძღვნა ვრცელი წერილი საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბორის ყურაშვილმა, რომელიც გასული წლის ნოემბრის ნომერში დასტამბა ჟურნალმა „მაწდილმა“.

ფოტოდან შემოგყურებს თამარის მშვიდი მკვიანი თვალები, ის თვალები, რომელთა შევლება მალამო იყო კოლეგებისა და ახლობლებისათვის. მჭერა მისი მოგონება მათ ახლობლებსა და მეგობრებს უამრავ სიკეთეს გაახსენებს და მადლიერების გრძნობით განაწყობს.

წერილში ვკითხულობთ: წლეულს თამარი 75 წლისა შესრულდებოდა. ამდენად მის წინაშე ვალდებულნი ვართ გავიხსენოთ ეს ამაგდარი ადამიანი, ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ ქალბატონი თამარის სახით ჩვენს სამშობლოს —საქართველოს მყავდა შესანიშნავი მეცნიერი, ადამიანი, მოქალაქე, მეგობარი.

1933 წელს დაამთავრა ზუგდიდის პედაგოგიური ტექნიკუმი და იმავე წელს დაიწყო მუშაობა ზუგდიდის საბავშვო სახლში აღმზრდელ-მასწავლებლად. შემდგომ ისწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე. დაამთავრა და ამ დროიდან იწყება მისი მოღვაწეობის თავფურცელი. მუშაობდა მაღალი მთის ბიოლოგიური სადგურის მეცნიერ თანამშრომლად, შემდგომ კონკურსით ჩაირიცხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიური სექტორის ასპირანტად. მუშაობდა ზოოლოგიის ინსტიტუტში. ნიჭიერი ახალგაზრდა მიიღეს ამავე ინსტიტუტის პარაზიტოლოგიის განყოფილებაში უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე.

1946 წელს თამარ როდონაიამ დაიცვა დისერტაცია ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. შემდგომ ანიჭებენ უფროსი მეცნიერ თანამშრომლის სამეცნიერო წოდებას. თამარის მუშაობის სფერო ძირითადად ჰელმინთოლოგიას შეეხებოდა, მაგრამ ჰელმინთოლოგიურ გამოკვლევებში გაამუქა და გააანალიზა მრავალი ზოოგადბიოლოგიური საკითხი და გამოაქვეყნა 60-ზე მეტი ნაშრომი.

ორიოდე წლის წინ ზუგდიდელ მეცნიერებთან შეხვედრის მონაწილე იყო ქალბატონი თამარი, რომელმაც თავისებური ხაზი გაავლო მეცნიერებაში.

ბუნებას უხვად დაებერტყა კალთა მის მოკლენაში გასაოცარ სილამაზესთან ერთად მინიჭებული სიმშვიდე ზეციურს ხდიდა მას. ამიტომ ისწრაფოდნენ მასთან სიახლოვეს მისი კოლეგები, ამხანაგები, მეგობრები. შეხვედრის მონაწილეებს შორის ერია იმ დროს საბავშვო სახლში აღზრდილი, ზუგდიდში საკმაოდ ცნობილი პიროვნება, რომელიც ჩემი თანდასწრებით ეახლა თამარს და ასე მიმართა: ქალბატონო თამარ, უდედოსა და ობოლს, პატარას, რომელიც ვგრძნობდი ქვეყნად მარტოობას თქვენ, თქვენ გადამისვით , თქვენი თბილი ხელები და ასე მითხარით: შენ გაიზრდები კეთილი და სათნო, კაცთმოყვარე და ადამიანი. მე ამან გადამატანინა ყველა გასაჭირი ცხოვრებაში, გმადლობთ ყველაფრისათვის. თამარს სახე შეეცვალა, გაცისკროვნდა, გალამაზდა და გარდაისახა ოცი წლის ახალგაზრდად...

გარდაცვალების წლისთავზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტმა და ჰელმინთოლოგთა საზოგადოებამ მოაწყო ხსოვნის საღამო. თამარის სამუშაო მაგიდაზე, როგორც სიცოცხლეში ეწყო უამრავი ვარდები.

**ბაბო აბულაძე.**

ფეხბურთი

# უხვგოლიანი მატჩი

## „ოდიში“ ზუგდიდი — „მერცხალი“ ოზურგეთი 5:2

ზუგდიდელმა ფეხბურთელებმა პირველი წუთიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა, შექმნეს არაერთი ხელსაყრელი მომენტი სტუმართა კართან, მაგრამ მხოლოდ 28-ე წუთზე შეძლეს ანგარიშის გახსნა. ერთ-ერთმა სტუმართა მცველმა ხელით ითამაშა თავის საჯარიმოში. 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ზუსტად გამოიყენა ყიზილაშვილმა—1:0. ეს იყო მისი მე-8 გოლი. ზუგდიდელები მიღწეულს არ დასჯერდნენ, მათი უპირატესობა ამ წუთებში აშკარა იყო, თევზაძეს შეეძლო ანგარიშის რამდენჯერმე გაზრდა, მაგრამ მან მხოლოდ ტაიმის დასასრულს მიაღწია მიზანს, როცა 44-ე წუთზე გაიტანა გოლი 2:0. სტუმრებმა ვერც მე-2 ტაიმში შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა, მათგან ზუგდიდელთა უპირატესობა აშკარა იყო. მე-3 და მე-4 გოლების ავტორები გახლდათ ახალგაზრდა ფეხბურთელი გოგოხია. მხოლოდ ამის შემდეგ სტუმართა თავდამსხმელმა ჩიგოგიძემ გაქვითა ერთი ბურთი (4:1), 70-ე წუთზე მასპინძელთა მეკარემ ჭანტურიამ მოიგერია 11-მეტრიანი დარტყმა, რომელიც ერთ-ერთი მცველის უხეში თამაშის გამო დაინიშნა. მალე ზუგდიდელმა ტაბუამ ანგარიში ხუთამდე გაზარდა, რასაც მოჰყვა ოზურგეთელთა მეორე გოლი—5:2. საბოლოოდ ასე დამთავრდა ეს უხვგოლიანი მატჩი. ქების სიტყვები ეკუთვნის თითოეულ ზუგდიდელ მოთამაშეს, მაგრამ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს თევზაძე, გოგოხია და კვიტაიანი, რომელნიც დღითიდღე ხვეწენ და სრულყოფენ თავიანთ ოსტატობას.

**რომან გაბისონია,**
ჩვენი კორ.

# გამოსათხოვარი

წავიდა ჩვენგან გურამ სამსონის ძე ბელქანია და დაგვიტოვა დიდი ტკივილი, სევდა, აუნაზღაურებელი დანაკლისი. მიმდინარე წლის 17 დეკემბერს ორმოცდაათი წელი შეუსრულდებოდა.

დღეს, 15 ივნისს ჩვენთან, თანაკლასელებთან ერთად დაბადებიდან ნახევარი საუკუნის იუბილე უნდა მიელოცა უდროოდ გარდაცვლილი მეგობრებისათვის ჭემალ წულეისქირისა და ჯემალ გულუასათვის. სულ წასულ მეგობრებზე ფიქრობდა... მურთაზ ყალიჩავა, თამაზ ყურაშვილი, გიგლა მაქაცარია, სოსო მალანია, აი, არასრული სია, ვის ხსოვნას დიდი სასოებით ატარებდა.

წესიერი, მშრომელი მშობლების მიერ აღზრდილი, მრავალრიცხოვან და-ძმებში ყველაზე უმცროსი, ორი ვაჟის მამა, გულისხმიერი მეუღლე, თავის პროფესიაში —მომსახურების სფეროში ტაქტიანი და გულისხმიერი, ამხანაგ-მეგობრებისათვის ავტორიტეტული და საქმიანი—ასეთად დარჩება იგი ჩვენს გულებში.

**ზუგდიდის ნესამე საშუალო სკოლის 1958-59 წლების კურსდამთავრებულები.**

ზუგდიდის №1 ჩაის ფაბრიკის დამფასოებელი საამქროს კოლექტივი ვაჟიშვილის შეძენას ულოცავს საამქროს ყოფილ უფროსს ბესარიონ მურმანის ძე დემურიას.

ბედნიერება, სიხარული, სიყვარული ყოფილიყოს მათი მეგზური.

**დამფასოებელი საამქროს კოლექტივი.**

ცხადდება, რომ ამა წლის 15-დან 20 ივნისამდე ქალაქის ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლ სადგურში (ჯავახიშვილის ქ. 88-ში) დილის 8 საათიდან 16 საათამდე ჩატარდება მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი პირუტყვის პროფილაქტიკური აცრები თურქულის საწინააღმდეგოდ.

მოსახლეობის შეუფერხებელი მომსახურებისათვის სადგური იმუშავებს გამოსასვლელ დღეებშიც (შაბათ კვირას) 10 საათიდან 14 საათამდე. პირუტყვის მფლობელები ვალდებული არიან წარმოადგინონ საკუთრებაში მყოფი სამ თვეზე უხნესი მსხვილი რქოსანი პირუტყვი—მათი სავალდებულო პროფილაქტიკური აცრების ჩასატარებლად.

**ქალაქის ვეტსამსახური.**

მეუღლე ლუიზა, შვილები: მამუკა. სოფიკო, ანიკო. და ლამარა, ნიძაშვილები: უჩა, ლიანა, ეთერი, ციალა, მაია როგავები, ნაპო, ზინა, შურა, სულიკო ალფენიძეები, დეიდაშვილები გოგუცა, რომან მესხიები ოჯახებით იუწყებიან

**ბონდო ჯოდოს ძე როგავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16 ივნისს. დაკრძალვა 18 ივნისს სოფ. კოკში.

შვილები ქუჩუჩი, ბაბუცა, შაქრო, გივი, ბონდო, ჯუმბერი, რძლები: ეთერი, მერი. დივი, ლეილა, მიმოზა ქარჩავები, ნიფო ჭეჟია, შვილიშვილები: ციალა, ჯულიეტა. გოჩა, რუზგენი, ნანი, მადონა, ნონა, ხვიჩა, ნატო, მაია, ემა, გელა, რიტა ქარჩავები, დემური. რევაზი, იამზე, ჯემალი, ბიქტორი, ქეთო ხარჩილავები, ჯამბულ ფარცვანია, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ქსენია სპირიდონის ასული ჭეჟია-ქარჩავა.**

პანაშვიდი 15, 16 ივნისს. დაკრძალვა 18 ივნისს ს. ინგირში.

ქეთინო და ვალერი ქარდავები შვილი ივანეთი თანაუგრძნობენ რევაზ და აზა ფარცვანიებს მამისა და სიმამრის

**სპირიდონ იპოლიტეს ძე ფარცვანიას**

გარდაცვალების გამო.

შვილები: ტატიანა ბორისი, რძლები: ვენერა კუზანა, თინიკო დიდიშვილი. ქეთინო სხულუხია, თამრიკო ესართია, შვილიშვილები: ნანი, ფრიდონი ბოკუჩავები, ზურაბი, მურმანი ჩახაიები, სიძეები ბოჩია ჩახაია, ფრიდონ კანკია, დისშვილი ვახტანგ ათაქიძე, ძმისშვილი ნინა დადიანი, შვილთაშვილები ბაჩო, სოფო. სალომე, შოთიკო, ზურაბი, ცოტნე, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მაზლიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**იულიტა (ცოცო) პართენის ასულ დადიანი-ბოკუჩავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16, 17 ივნისს. დაკრძალვა 18 ივნისს ქაფათის სასაფლაოზე, გამოსვენება 18 საათზე ქ. ზუგდიდი, წერეთლის 44.

მეუღლე ეთერი, შვილები გონელი, მიმოზა, იზოლდა, ჯულიეტა. რძალი ჟული ჯოლოკავა, სიძეები: ზაურ შელია, მურთაზ ჯაბუა, თემურ ბჟალავა, რძლები აგრა ჭითანავა, ციცი გუნჯუა, შვილიშვილები: თუთანა, მათუთა, ნათია, თათია, ირა, ძმისშვილები, დისშვილები, ცოლისძმისშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ვალერიან ბურდღუს ძე ჯანაშიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16 ივნისს. დაკრძალვა 18 ივნისს სოფ. ცაიში, გამოსვენება თბილისის ქ. 142-დან.

მეუღლე ვენერა, შვილები: ლეილა, ჯემალი, მადონა, დები: სონია, თალიკო, ძმები: ნუგზარი, ლონდერი, ონერი, რძლები: ლუბა, ვერა, მარინა, სიძეები: გრიშა მანია, ნარგიზი დარასელია, ვონელი აბსავა, სიდედრი გუპუშა, ცოლისძმა ლუდი ეხვაია, შვილიშვილები: ვიტალი, პაატა, ნესტანი, მანუჩარი, ნანა, ქეთინო, ნინო, დისშვილები, ძმისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან

**გრიგოლ კიმოთეს ძე ბულიას**,

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15 ივნისს. დაკრძალვა 16 ივნისს ს. ოდიშში.

მეუღლე ბონდო, და შურა, შვილები: ტარიელი, გულნარა, მადონა, რძლები: სოფიო კანკია, ძაბია ჩემინავა, ნინა კუკავა, შვილიშვილები: თამარი, თეა, ნინო ლიპარტიები, ელისო, ემა, ნათია, გიგა ბაკარანძეები. ზაზა, ლელა ლაშხიები, ძმისშვილები: გიორგი, გოჩა, ლუიზა, ლეილა, მანონი, მზია ფიფიები, დისშვილები: გული, ბუსკა, გერონტი, რობინი. ბადრი. ნატო თოლორაიები, მაზლიშვილები: შაირი, ზურაბი, გიგლა, მერაბი ლიპარტიები, სიძეები გივი ბაკარანძე, ზაურ ლაშხია, მზახლები: შოთა, შუშა ჯანკიები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ეთერ ილიას ასულ ფიფია-ლიპარტიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16 ივნისს. დაკრძალვა 18 ივნისს ს. რიყეში.

გაზეთ „ოდიშის“, რედაქციისა და ზუგდიდის სტამბის მუშაკები თანაუგრძნობენ ფოტოკორესპონდენტ რეზო ფიფიას დედის

**ფენია დავითის ასულ არდია-ფიფიას**

გარდაცვალების გამო.

შვილი ზეინაბი, დები: ლუბა, ვაჟონა, ნანული. მანანა, ძმები ორდენ, ვალოდია ბერიშვილები, სიძეები: ვახტანგ სოსელია, ინდიკო ბუკია, ამირან კალანდაძე, გია გიორგაძე, რძლები: ვენიჩქა ბეჭვაია, ნინო კვიკვინია, ფატიმა ჩიტაია, შვილიშვილები: გოგი, ლევანი, მარინა სოსელიები, შვილთაშვილები: მარიანა სოსელია, ილიკო, თამარ გიორგაძეები, დისშვილები: იურა, მერაბი, მაყვალა. იზოლდა, მზევინარ ბუკიები, ნატო, ნანა, ნათია კალანდაძეები, ძმისშვილები, თამაზი, მავლინა, ზამირა, მაია, მალხაზი ბერიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ნუცა შიოს ასულ ბერიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16, 17 ივნისს. დაკრძალვა 18 ივნისს ს. ჩხორიაში.

მეუღლე: ომეხი, შვილები ცეზარი, მზევინარი, ანგელინა, ვახტანგი ყურაშვილები, და ქენია, ძმა თამაზი ჯიქიები: სიძეები: ბორის აბშილავა, სერგო კუჭავა, ომიკო ქარჩავა, არხიპო ხუბულავა, რძლები: მარინა ქობალია, გიული როგავა, ეთერი. შურა. ფაცია. ციალა, ლამარა, შვილიშვილები: აბესალომი, ზაზა, ირმა აბშილავები, მარიკა, თამუნა, ემა კუჭავები, ნინო, მადონა ქარჩავები, მაზლები: ასტამურ, მიტუშა, შალიკო, ნიკო ყურაშვილები, გენადი ქირია, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლიშვილები, ახლო ნათესავებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამარა ალმასხანის ასული ჯიქია-ყურაშვილი.**

პანაშვიდი 15, 16 ივნისს. დაკრძალვა 18 ივნისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, 26 კომისრების ქ. 21-დან 5 საათზე.

**რედაქტორი**
**აკ. მანტურია.**

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-69.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23-07, ტირაჟი 8000 შეკ. №2444